



# ქაღთა <sup>ქა</sup> გობონათა ფეხბურთის სსრასშეგია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

2021-2024



საქართველო



## საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია



ბოლო 5 წლის მანძილზე საქართველოში ქალთა ფეხბურთმა უპრეცედენტო ზრდა განიცადა, რაც დიდი მიღწევა იყო როგორც ქალთა ფეხბურთისთვის, ისე მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის. ჩვენ ვამაყობთ იმით, რასაც დღემდე მივაღწიეთ.


საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გუნდის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს სწორედ ქალთა ფეხბურთის განვითარება წარმოადგენს. 2016 წლიდან ჩვენ აქტიურად ვემსახურებით ამ მიზანს. ჩამოყალიბდა რეგულარული ეროვნული ჩემპიონატი და რეგულარულად იმართება პროექტები, რომლებიც გოგონათა ფეხბურთის განვითარებას ემსახურება და მთელი საქართველოს მასშტაბით ხორციელდება. ჩვენი მიზნობრივი აქტივობებისა და პროექტების შედეგია ის, რომ დღეს 1600-ზე მეტი გოგონა ფეხბურთელი გვყავს, მაშინ როდესაც 2016 წელს ეს ციფრი 120-ს არ აღემატებოდა.

თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი იმისთვის, რომ შევძლოთ ქალთა ფეხბურთის სრული პოტენციალის გამოყენება. სტრატეგიის შემუშავება საქართველოში ქალთა ფეხბურთისთვის ისტორიულ მომენტს წარმოადგენს და სრულიად შეესაბამება იმ მიზნებს, რომლებიც ჩვენ ამ მიმართულებით გვაქვს დასახული.

მადლობას ვუხდით უეფას ექსპერტებს, რომლებიც სფფ-ის გუნდთან ერთად მონაწილეობდნენ ამ სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებაში. სწორედ აქედან იწყება ქალთა ფეხბურთის განვითარების ახალი ეტაპი. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ახალი გზა ხელს შეუწყობს შემდგომ მდგრად განვითარებას და ჩვენი ქალი ფეხბურთელებისთვის მეტი შესაძლებლობების შექმნას. ფეხბურთი ვითარდება, და ჩვენც არ უნდა ჩამოვრჩეთ მოვლენებს.

#შენიდროა

შენი  
შენი  
დროა



ლევან კობახიძე  
სფფ-ის პრეზიდენტი

ხუთი წლის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ქალთა ფეხბურთის განვითარების გრძელ და რთულ გზას დაადაგა. თავისი პოლისტური მიდგომით ფედერაციამ მომდევნო სტრატეგიული პერიოდისთვის მყარი საფუძველი ჩამოაყალიბა. აღნიშნული გზის დასაწყისში, ჩვენი ქალი ფეხბურთელებისთვის კონკურენტუნარიან მატჩებში მონაწილეობის ერთადერთ პლატფორმას წარმოადგენდა საერთაშორისო ტურნირების შესარჩევი ეტაპი, ვინაიდან საქართველოში არ არსებობდა ქალთა ეროვნული ლიგა ან რაიმე სხვა მნიშვნელოვანი შუკობრი. ქვეყნის მასშტაბით მიმოფანტულ 300-მდე ქალ ფეხბურთელს არ გააჩნდა თამაშის საერთო შესაძლებლობები გარდა სკოლის ფესტივალებისა, არასეზონური შუკობრებისა და მცირე ზომის მოედნებზე გამართული მატჩებისა.

სფფ-ის მასობრივი ფეხბურთის განვითარების წამყვანი პროგრამის მეშვეობით ჩვენ მნიშვნელოვნად გარდავქმენით ზემოაღნიშნული გარემო. 2016 წლიდან მოყოლებული, ქართულ ფეხბურთში დაინერგა ქალთა ეროვნული ჩემპიონატი, ისევე როგორც რეგულარული სეზონური შუკობრები სხვა ასაკობრივ ჯგუფებში, რამაც ხელი შეუწყო ქალთა ფეხბურთის ფენომენალურ ზრდას. ბოლო ოთხი სეზონის განმავლობაში, ქალ და გოგონა ფეხბურთელთა რაოდენობა ოთხჯერ გაიზარდა.

აღნიშნული მიღწევების გარდა, პროგრამამ სხვა მიმართულებითაც უკვე მოიტანა შედეგები. ბოლო ორი წლის მანძილზე როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო დონეზე მიღწეულმა წარმატებებმა ქვეყნის მასშტაბით გაზარდა ქალთა ფეხბურთის შესახებ ცნობიერება. სასიხარულოა, რომ სულ უფრო მეტი ადამიანი საუბრობს ქალთა ფეხბურთის შესახებ და გულშემატკივრობს მას. რაც მთავარია, საზოგადოების ყველა ნაწილიდან ხალხი აქტიურად ერთვება ქალთა ფეხბურთში. 2020 წლის 19-წლამდე გოგონათა ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა დამატებით ხელს შეუწყობდა ჩართულობის გაზრდას. თუმცა, აღნიშნული ტურნირი პანდემიის შედეგად გაუქმდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ ახლო მომავალში კვლავ მოგვეცემა მსგავსი შესაძლებლობა.

ქალთა ფეხბურთის მყარი საფუძვლის ჩამოყალიბების შემდეგ, სფფ-მ უნდა გააგრძელოს მმართველი ორგანოს როლის შესრულება და უზრუნველყოს ქალებისა და გოგონებისთვის ჩართულობის შესაძლებლობა, რათა შემდგომ ისარგებლოს ამ ჩართულობით შექმნილი იმპულსით. ახლა აღარ არის იმის დრო, რომ გავჩერდეთ და მიღწეულით დავკმაყოფილდეთ. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ძალისხმევა და ავიყვანოთ ქალთა ფეხბურთი შემდეგ საფეხურზე. ჩვენ ამას მივაღწევთ მეტი რესურსის ჩადებით, უფრო მკაფიო ხედვის შემუშავებით, დაინტერესებულ მხარეებთან აქტიურად თანამშრომლობით და უფასო ქსელიდან საუკეთესო პრაქტიკის გადმოღებით, ჩვენივე პროექტების, კვლევებისა და ანალიზის განსახორციელებლად.

გარდა სპორტული მიღწევებისა, სფფ აცნობიერებს ქალთა გაძლიერების უმნიშვნელოვანეს როლს ჩვენი საზოგადოებისა და კულტურის ზოგად განვითარებაში. ჩვენ გვჯერა, რომ ფეხბურთს შეუძლია ხელი შეუწყოს ამ მიზნის მიღწევას და უფრო ძლიერი, ერთიანი ერის ჩამოყალიბებას. სწორედ ამიტომ, სფფ-მ შეიმუშავა საქართველოში ქალთა ფეხბურთის განვითარების სტრატეგია. მოხარული ვართ, ამ დოკუმენტის საშუალებით გაგიზიაროთ ჩვენი გეგმები, რათა სულ უფრო მეტ გოგონას მივცეთ ჩვენ ფეხბურთში ჩართვის სტიმული.

ნიკოლოზ ჯღარაკაძე  
ვიცე პრეზიდენტი



**შენაწილი**

**ანსაზი კონსტანტი**

**რენი სტატუსი სიღარიბე, მისი და ღირსეულობა**

**რენი სტატუსი რაიონი**

**იმიტი და რაიონი** | ინტენსივი შიშა

**მონაწილეობა** | ქალთა ფეხბურთის განვითარება

**დღიური ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარება** | ნიჭიერი მოთამაშების აღზრდა

**ინფრასტრუქტურა** | განვითარების რამდენიმე

**მუშახელის განვითარება** | თამაშის მხარდაჭერა

**დღიური კლუბები და ეროვნული ნაკრები** | ღირსეულობა და სპორტული მიღწევები

**შემოსავლები და პანორამული ურთიერთობები** | ფეხბურთის მხარდაჭერა ყველას საკეთილდღეოდ



# შესავალი

სანამ 1991 წელს ჩინეთში პირველი ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი გაიმართებოდა, ქალებისთვის რთული წარმოსადგენი იყო ასეთ მნიშვნელოვან მატჩში გამარჯვების გოლის გატანა და პრესტიჟული თასის აწევა. ანალოგიურად, ქალები იშვიათად განიხილავდნენ ფეხბურთს როგორც კარიერას, ან თუნდაც როგორც სასიამოვნო და სრულფასოვან საქმიანობას.

ოცდაათი წლის შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეცვლილია. მილიონობით ახალგაზრდა გოგონას მთელ მსოფლიოში მტკიცედ სჯერა, რომ მათ შეუძლიათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ საკუთარი ცხოვრება ფეხბურთში ჩართვის გზით. ზოგისთვის ეს ოცნება შეიძლება წარმოადგენდეს ადგილობრივ თემში მეგობრებთან ერთად თამაშს, სხვებისთვის კი - საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი ქვეყნის წარმომჩენას ან პრესტიჟულ კლუბთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგებას. როგორც არ უნდა იყოს მისწრაფება, ქალთა ფეხბურთი ნამდვილად ჩამოყალიბდა, როგორც გლობალური ფენომენი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიზანია, თავისი წვლილი შეიტანოს ქალთა ფეხბურთის განვითარებაში და უზრუნველყოს, რომ საქართველოში მცხოვრებ თითოეულ ახალგაზრდა გოგონას, მიუხედავად მისი სოციალური, კულტურული თუ გეოგრაფიული წარმომავლობისა, მიეცეს ამ შესანიშნავ სპორტში ჩართულობის და საკუთარი ოცნებების ასრულების შესაძლებლობა.

ჩვენი 2021 - 2024 წლების ქალთა და გოგონათა ფეხბურთის სტრატეგიის - "შენი დროა" განხორციელებით ჩვენ ხელს შევუწყობთ მთელი ქვეყნის მასშტაბით ქალებისა და გოგონებისთვის საფეხბურთო შესაძლებლობების უზრუნველყოფას. ამის შემდეგ ჩვენ ყველა ქალს და გოგონას შესაძლებლობას მივცემთ, განვითარდნენ როგორც მოთამაშეები, მწვრთნელები, მსაჯები ან მოხალისეები. ამისთვის ჩვენ შევქმნით ძლიერ და მდგრად გარემოს, სადაც საფეხბურთო საქმიანობა შეიძლება განვითარდეს ორგანულად და გრძელვადიან პერსპექტივაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გაგვაჩნია მასშტაბური ამბიციები, ჩვენი მიდგომა რეალობასთან უნდა იყოს ახლოს. აქედან გამომდინარე, ჩვენი საწყისი პრიორიტეტი იქნება მომავლისთვის ძლიერი საფუძვლის შექმნა. ამის შემდეგ ჩვენ შევძლებთ მეტი აქცენტის გაკეთებას ჩვენი ეროვნული ნაკრების განვითარებაზე, ისევე როგორც ეროვნული სიამაყისა და გუნდური ერთიანობის შექმნაზე.

წინამდებარე სტრატეგიის შემუშავებით ჩვენ მიზნად ვისახავთ ჩვენს მოქმედ და მომავალ მოთამაშეებს შორის ინტერესის, ამბიციისა და თვითდაჯერების დანერგვას.



# ანსჯული კონსექსი

საქართველოში ქალთა და გოგონათა ფეხბურთის განვითარება სანცის ეტაპზე და მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამდე ჩართულობის დონე გაზრდილი იყო, ახლა საჭირო იქნება ქვეყნის მასშტაბით ფეხბურთისადმი ინტერესის აღდგენა, რათა მოხერხდეს შემდგომი განვითარება. 2015 წლიდან მოყოლებული, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შექმნა პოზიტიური იმპულსი და ჩამოაყალიბა მყარი პლატფორმა სამომავლო ზრდისთვის. ჩვენი ადრეული საქმიანობა

ორიენტირებული იყო ქვეყნის მასშტაბით ჩართულობისა და კონკურენტული შესაძლებლობების განვითარებაზე. ახლა ჩვენ მზად ვართ, ამ საფუძველზე დაყრდნობით ვითანამშრომლოთ კლუბებთან, რათა გავამყაროთ ადგილობრივ თემებთან კავშირები და საბოლოოდ ჩამოვყალიბოთ წინსვლის აპრობირებული გზა, რომელიც პირველი საფეხბურთო გამოცდილებიდან ეროვნული ნაკრებამდე მიდის.



### თბილისი - 175 გოგო

- I ინფრასტრუქტურა - ვაკის საფეხბურთო ცენტრი
- I ინფრასტრუქტურა - ვარკეთილის საფეხბურთო ცენტრი
- I ინფრასტრუქტურა - საფეხბურთო ცენტრი პლატოზე (მშენებარე)
- I ინფრასტრუქტურა - საფეხბურთო ცენტრი დიდ დილოშში (მშენებარე)
- C კლუბი 'ნიკე' - 25 გოგო
- C კლუბი 'კვარტალი' - 30 გოგო
- C კლუბი 'ნორჩი დინამო' - 25 გოგო
- C კლუბი 'დინამო სოხუმი' - 30 გოგო
- WPS WPS ვარკეთილი - 15 გოგო
- WPS WPS ფონიჭალა - 20 გოგო
- WPS WPS ვაკე - 30 გოგო
- WPS WPS გლდანის - 10 გოგო

### შიდა ქართლი - 118 გოგო

- C გორი - კლუბი 'გორი იუნაიტედი' - 25 გოგო
- C ხაშური - კლუბი 'ივერია' - 25 გოგო
- S გორის WPS ცენტრი - 40 გოგო
- S ხაშურის სპორტული ცენტრი - 28 გოგო

### მცხეთა მთიანეთი - 25 გოგო

- C კლუბი 'მცხეთა' - 25 გოგო

### კახეთი - 85 გოგო

- I ინფრასტრუქტურა - ლაგოდეხის საფეხბურთო აკადემია
- C ახმეტა - კლუბი 'თუშეთი' - 25 გოგო
- WPS ლაგოდეხის WPS წერტილი - 30 გოგო
- WPS ახმეტის WPS წერტილი - 30 გოგო

### სამეგრელო - 80 გოგო

- I ინფრასტრუქტურა - ფოთის საფეხბურთო ცენტრი
- I ინფრასტრუქტურა - მარტვილის საფეხბურთო აკადემია
- WPS ინფრასტრუქტურა - რუხის საფეხბურთო აკადემია
- WPS მარტვილის WPS ცენტრი - 30 გოგო
- C კლუბი 'ხობის კოლხეთი' - 25 გოგო
- C ჩხოროწყუ - კლუბი 'სამეგრელო' - 25 გოგო
- I ზუგდიდი - კლუბი 'ფენიქსი ზუგდიდი' - 20 გოგო

### გურია - 60 გოგო

- I ინფრასტრუქტურა - გვიმბალაურის საფეხბურთო აკადემია
- C კლუბი 'ლანჩხუთი' - 30 გოგო
- WPS ლანჩხუთის WPS ცენტრი - 30 გოგო

### აჭარა - 55 გოგო

- C კლუბი 'დინამო ბათუმი' - 25 გოგო
- WPS ბათუმის WPS ცენტრი - 30 გოგო

### იმაჩეთი - 45 გოგო

- I ინფრასტრუქტურა - ქუთაისის საფეხბურთო აკადემია (მშენებარე)
- C კლუბი 'მართვე' - 25 გოგო
- WPS კლუბი 'ქარიშხალა საჩხერე' - 25 გოგო
- WPS თერჯოლის WPS წერტილი - 20 გოგო

### რაჭა-ლეჩხუმი - 30 გოგო

- I ინფრასტრუქტურა - ამბროლაურის საფეხბურთო მოედანი
- C კლუბი 'რაჭა 2020' - 20 გოგო
- WPS რაჭის WPS წერტილი - 10 გოგო

### სამცხე-ჯავახეთი - 25 გოგო

- C კლუბი 'ზარზმა ადიგენი' - 25 გოგო


### ქვემო ქართლი - 20 გოგო

- I ინფრასტრუქტურა - რუსთავის საფეხბურთო აკადემია
- WPS რუსთავის WPS წერტილი - 20 გოგო

სულ

718

 საქართველოს ჩეკა



I ინფრასტრუქტურა  
 C კლუბი  
 WPS We Play Strong  
 S სპორტული ცენტრი



# ჩვენი

## ხედვა

ჩვენ უზრუნველვყოფთ ჩართულობის შესაძლებლობას და შთაგონებას, რათა თითოეულ ქალსა და გოგონას მიეცეს თავისი საფეხბურთო ოცნებების ასრულების საშუალება.

## მისია

ჩვენ ჩამოვაყალიბებთ რეკრეაციულ და პროფესიულ საფეხბურთო გარემოს, რომელიც უსაფრთხო და ხელმისაწვდომი იქნება საქართველოში ყველა ქალისა და გოგონასთვის.

## ლინეაბუღებები

თანასწორობა - გვკერა, რომ ფეხბურთი უნდა იყოს მხიარული, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი ყველა გოგონასა და ქალისთვის. მან უნდა მოიცვას ჩვენი მრავალმხრივი საზოგადოება თავისი კულტურების, რწმენებისა და შესაძლებლობების ფართო სპექტრით. ქალებმა უნდა მიიღონ მხარდაჭერა ნებისმიერი მიმართულებით, იქნება ეს მონაწილეობა, შეჯიბრება, მწვრთნელობა, მსაჯობა თუ საკლუბო, რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე სამოხალისეო ან ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელება.

გუნდური მუშაობა - გვსურს, დავეყრდნოთ იმ მრავალი ადამიანის წარმატებას, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ერთად მუშაობს ქალთა ფეხბურთის განვითარებაზე. ჩვენ ვისარგებლებთ მათი გამოცდილებით, მოვისმენთ მათ შეხედულებებს და უზრუნველვყოფთ გადანაცვტილებებს ფეხბურთის განვითარებისთვის.

პროფესიონალიზმი - ერთიანი ძალისხმევით ჩვენ ყველა მოთამაშისთვის უზრუნველვყოფთ უსაფრთხო და სასიამოვნო გამოცდილებას ფეხბურთში მოღვაწე პროფესიონალი მწვრთნელებისა და პერსონალის დახმარებით. ჩვენ მხარს დავუჭერთ ყველას, ვინც ისწრაფვის იმისკენ, რომ მოახდინოს თავისი პოტენციალის რეალიზაცია, აასრულოს თავისი ოცნებები, წარმატებით იასპარეზოს და წარმოადგინოს თავისი ქვეყნის ნაკრები.

განვითარება - გვკერა, რომ დადგა იმის დრო, რომ საქართველოში ქალთა ფეხბურთმა მოახდინოს თავისი სრული პოტენციალის რეალიზაცია. კვალიფიცირებული პერსონალის გადამზადებით და ინფრასტრუქტურის განვითარებით ჩვენ უზრუნველვყოფთ ამ პროცესის მხარდაჭერას.

შთაგონება - გვკერა, რომ სწორი ხედვით და მონდომებით ჩვენ შეგვიძლია გადავლახოთ ყველა გამოწვევა და წინ წავწიოთ ქალთა ფეხბურთი.



# ჩვენი სტრატეგიული ჩარჩო

ჩვენი სტრატეგია აწყობილია 7 ურთიერთდაკავშირებული სტრატეგიული საყრდენის გარშემო. ამ საყრდენების საშუალებით ჩვენ შევქმნით ადვილად ხელმისაწვდომ შესაძლებლობებს ჩვენი მოქმედი და მომავალი მოთამაშეებისთვის. ამასთანავე, ჩვენ შევქმნით ძლიერ დამხმარე სტრუქტურას საზოგადოებრივ ადგილებსა და კლუბებში, რაც ჩვენს მწვრთნელებს, მსაჯებს და მოხალისეებს მისცემს განვითარებისა და ზრდის საშუალებას. გრძელვადიანი წარმატებისთვის საჭიროა

პარტნიორებთან ერთად ქალთა ფეხბურთის პოზიტიური და ინსპირაციული იმიჯის შექმნა და უსაფრთხო, მდგრადი გარემოს ჩამოყალიბება ყველა გოგონასა და ქალისთვის, ვისაც სურს თამაში. ქართული ფეხბურთის მესვეურების როლში ჩვენ მოვაცქიეთ ჩვენი მოთამაშეები, მწვრთნელები და მსაჯები ჩვენი სამომავლო გეგმების ცენტრში. აღნიშნული მიდგომით ჩვენ გამოვიყენებთ მათ საჭიროებებს და მისწრაფებებს სამომავლო ქმედებების წასახალისებლად.

## იმიჯი და ჩართულობა

ჩვენ მთელი ქვეყნის მასშტაბით გაავრდით ქალთა და გოგონათა ფეხბურთის პროფილს. ჩვენ ნაგაბალისებთ ჩართულობას, წარმოვანეთ ნიჭიერ მოთამაშეებს და ჩამოვყალიბებთ ეროვნული სიამაყის შეგრძნებას.

## შემოსავალი

პარტნიორებთან ერთად ჩვენ ვიმუშავებთ ქალთა და გოგონათა ფეხბურთში მდგრადი ინვესტიციის ჩამოყალიბებაზე.

## ჯლითური კლუბები და ეროვნული ნაკრები

ჩვენ ორიენტირებული ვიქნებით გრძელვადიან წარმატებაზე და ეროვნული სიამაყის შეგრძნების ჩამოყალიბებაზე.

## სამუშაო ძალის მანვითარება

ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ფეხბურთის სფეროში მუშაობა იყოს საინტერესო, ასევე მხარდაჭერას გავეწვეთ ფეხბურთის განვითარებაში დაინტერესებულ მხარეებს.



## მონაწილეობა

ჩვენ შევიმუშავებთ ხარისხიან საფეხბურთო აქტივობებს, რათა საქართველოში ფეხბურთის თამაშის მსურველ ყველა ქალსა და გოგონას მიეცეს ამის შესაძლებლობა.

## ჯლითური ახალგაზრდული ფეხბურთის მანვითარება

ჩვენ ჩამოვყალიბებთ შესაძლებლობების უწყვეტ გზას, რაც საშუალებას მოგვცემს, გამოვავლინოთ, განვავითაროთ და აღვზარდოთ ჩვენი ნიჭიერი ფეხბურთელები

## ინფრასტრუქტურა

ჩვენ შევქმნით მდგრად, უსაფრთხო და ხელმისაწვდომ გარემოს, სადაც ყველა ქართველ ქალსა და გოგონას შეეძლება ფეხბურთის თამაში



# იმიჯი და ჩართულობა

საქართველოში ქალთა ფეხბურთის შესახებ ცნობიერებისა და მხარდაჭერის გაზრდის მიუხედავად, მისი საერთო პროფილი და პოტენციული შედარებით დაბალ დონეზე რჩება. ამასთანავე, ბოლოდროინდელი მიღწევები, როგორცაა ქსკ „ლანჩუთის“ მონაწილეობა უეფა-ს ქალთა ჩემპიონთა ლიგაში, აშკარად ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება ქალთა ფეხბურთის გლობალურმა ძალამ გამოიწვიოს ინტერესი და აღფრთოვანება.

დროა ვისარგებლოთ ამ ცნობისმოყვარეობით და საქართველოში მცხოვრებ ყველა გოგონაში გავაღვიძოთ ფანტაზია და ოცნებები.

## ჩვენ უნდა შევქმნათ იმედიანი და ჩემენა მთელი ქვეყნის მასშტაბით

# ჩვენი

### გამოწვევა

ჩვენი სტრატეგიის განხორციელებით ჩვენ ჩამოვაყალიბებთ ქალთა და გოგონათა ფეხბურთს, როგორც ჩვენი სპორტული კულტურის ძირითად ნაწილს. ჩვენ წარმოვაჩენთ ჩვენი ნაკრების მომავალ ვარსკვლავებს და უზრუნველვყოფთ, რომ მონაწილეობის მსურველ ნებისმიერ გოგონას შეეძლოს საჭირო ინფორმაციის მიღება. ჩვენი ძალისხმევებით ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ შემდეგი:

- დავამსხვრიოთ ბარიერები და ტრადიციული ცრუ წარმოდგენები, რათა ყველა გოგონას თავდაჯერებით შეეძლოს ფეხბურთში მონაწილეობა.
- პოზიტიური ცნობისმოყვარეობა ვაქციოთ პოზიტიურ ჩართულობად.
- ფეხბურთის პოპულარიზაცია შთამაგონებელი მეთოდებით, რომლებიც გააადვილებს ჩართულობას.
- ქალთა და გოგონათა ფეხბურთის პროფილის ამაღლება სოციალური და სამაუწყებლო არხების მეშვეობით.
- საუკეთესო მოთამაშეების მხარდაჭერა, რათა ისინი გახდნენ მაგალითები და ელჩები.







<p><b>სპორტში ქალებისა და გოგონების მონაწილეობის ტრადიციული / კულტურული ბარიერების დამსხვრევა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>● საერთაშორისო კვლევების იდენტიფიცირება და პოპულარიზაცია, რომლებიც აჩვენებენ ქალთა სპორტში ჩართულობის დადებით ფიზიკურ და სოციალურ შედეგებს</li> <li>● სფფ-ის საკომუნიკაციო არხების საშუალებით და მედია-პარტნიორების დახმარებით ქალთა სპორტში ჩართულობის დადებითი ფიზიკური და სოციალური შედეგების წარმოჩენა</li> <li>● ქალთა და გოგონათა ფეხბურთის სოციალური გავლენის მონიტორინგი და ანგარიშგება</li> <li>● აკადემიურ დანესებულებასთან თანამშრომლობით საქართველოში ქალთა ფეხბურთში ჩართულობის შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის შედგენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>● სფფ-ის ყველა ოფიციალურ სამწვრთნელო და საგანმანათლებლო პროგრამაში გენდერული საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებასზე მიმართული კვლევებისა და ტრენინგების დანერგვა</li> <li>● ქალთა ჩართულობის დადებითი მხარეების წარმოჩენა ყოველწლიური შიდა და გარე კამპანიების მეშვეობით</li> <li>● ქალთა და გოგონათა ფეხბურთის გავლენის წლიური ანგარიშის წარმოება და გავრცელება</li> <li>● ყოველწლიური კვლევითი პროგრამის განხორციელება, სადაც We Play Strong-ის პროექტები შეასრულებენ მონაცემთა პაბის როლს</li> </ul>
<p><b>ქალთა და გოგონათა ფეხბურთი მოვაქციოთ ჩვენი თემების შუაგულში</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>● დამარწმუნებელი ინფორმაციისა და დამხმარე მასალების შემუშავება და გავრცელება, რომლებიც წარმოაჩენს ქალთა და გოგონათა ფეხბურთს სფფ-ის გოგონათა ჩართულობის პროგრამების მეშვეობით</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>● ქალთა ჩართულობის შესაძლებლობათა წარმოჩენა და პოპულარიზაცია ყველა სკოლაში, სპორტულ ცენტრსა და საფეხბურთო გარემოში</li> <li>● მშობელთა სემინარების (ე.წ. ვორქშოპების) ორგანიზება გოგონათა ფეხბურთის ყველა პროგრამის ფარგლებში, მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> <li>• სახალისო ფეხბურთი - ღია სკოლა</li> <li>• We Play Strong</li> </ul> </li> </ul>
<p><b>უმრუნველვყოთ ქალთა და გოგონათა ფეხბურთის ხელმისაწვდომობა ციფრულ სივრცეში</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>● შევქმნათ და დავნერგოთ სფფ-ის ქალთა და გოგონათა ფეხბურთის პლატფორმა ციფრულ სივრცეში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>● ართული ქალთა და გოგონათა ფეხბურთისთვის სპეციალური ონლაინ-სივრცის შექმნა</li> <li>● ქალთა და გოგონათა ფეხბურთის პოპულარიზაცია სოციალური მედია-არხების მეშვეობით</li> <li>● ქალთა და გოგონათა ფეხბურთის ციფრული პლატფორმების წლიურ მაჩვენებელთა გაზრდა</li> </ul>
<p><b>მისაბაძი ქალი მაგალითების მხარდაჭერითა და წარმოჩენით მომავალი თაობების შთაგონება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>● ჩვენი ელიტური კლუბების სარეკლამო მასალებში ქალ ფეხბურთელთა ჩართვის ნახალისება და მხარდაჭერა</li> <li>● სფფ-ის ყველა სარეკლამო მასალებში ქალ ფეხბურთელთა, მწვრთნელთა და მსაჯთა ვიზუალების გამოყენება</li> <li>● მისაბაძი ქალი მაგალითებისა და ელჩების მეშვეობით ბარიერების დამსხვრევა და ჩართულობის სტიმულირება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>● 2024 წლისთვის ყველა ელიტურმა კლუბმა, რომელსაც გააჩნია ქალთა გუნდი, უნდა გამოიყენოს ქალ ფეხბურთელთა ვიზუალები სარეკლამო მასალებში</li> <li>● 2024 წლისთვის სფფ-ის ყველა საკომუნიკაციო და მარკეტინგული მასალები უნდა მოიცავდეს ქალ ფეხბურთელთა ვიზუალებს</li> <li>● 2022 წლისთვის უნდა ჩამოყალიბდეს მისაბაძი ქალი მაგალითებისა და ელჩების ეროვნული ქსელი, რომელიც ჩართული იქნება ჩვენი ნიჭიერი ფეხბურთელების განვითარებასა ჩართულობის გაზრდაზე მიმართულ პროგრამებში</li> </ul>

# მონაწილეობა

2015 წელს ჩვენი ქალთა და გოგონათა ფეხბურთის პროგრამების ამოქმედების შედეგად წარმოიქმნა მნიშვნელოვანი იმპულსი. ყველა ასაკის და საზოგადოების ყველა სექტორიდან ქალები და გოგონები დაინტერესდნენ იმ შესაძლებლობებით, რომლებსაც მათ სთავაზობთ ფეხბურთი. მათ სურთ შეიტყონ, თუ როგორ შეუძლიათ ფეხბურთში ჩართვა. ზოგი ფეხბურთში ხედავს მათი ჯანმრთელობისა და სოციალური ცხოვრების ხელშემწყობ ფაქტორს, ზოგს კი სურს სათამაშო კარიერის დაწყება.

**ჩვენ უნდა უზრუნველყოთ, რომ ფეხბურთი იყოს მასწავლებელი, განვითარებისა და სასაინფორმაციო საშუალება**

ჩვენი

## გამონათვა

მუხედავად არსებული ინტერესისა, ქალთა ფეხბურთი ჯერ შორს არის ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებისგან. შესაბამისად, არსებობს იმის რისკი, რომ პოტენციურ მოთამაშეებს არ მიეცეთ მონაწილეობის საშუალება, ხოლო სხვების წინსვლა შესაძლებელია შეფერხდეს არსებული ხარვეზების გამო. ჩვენი ძალისხმევებით ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ შემდეგი:

- ჩვენს თემებში დავწერგოთ ხარისხიანი და სახალისო შესაძლებლობები.
- უზრუნველვყოთ, რომ ჩვენი სათამაშო გარემო იყოს უსაფრთხო და ხელმისაწვდომი.
- ჩვენი მწვრწლავებისა და მსაჯების მიერ შემუშავებული აქტივობები მოვარგოთ ქალთა და გოგონათა საჭიროებებს.
- ქვეყნის მასშტაბით განვავითაროთ არსებული უპირატესობები და ჩამოვყალიბოთ ძლიერი, მდგრადი გარემო, სადაც მოთამაშეებს შეეძლებათ საკუთარი თემების ფარგლებში განვითარება.





**მიზანი - ჩას გავაკეთებთ**

**ამოხანა - ჩოგონი გავაკეთებთ ახას**

**შესრულების ძირითადი ინდიკატორები - ჩოგონი გავზოგავთ შედეგს**

<p><b>საქართველოში თითოეული გოგონასთვის ფეხბურთის თამაშის შესაძლებლობის შექმნა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ საქართველოს მასშტაბით სკოლებსა და თემებში გოგონებისთვის ფეხბურთში მონაწილეობის სტრუქტურირებული შესაძლებლობების უზრუნველყოფა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ 2024 წლისთვის ქალთა და გოგონათა ჩართულობის, სულ მცირე, გაორმაგება</li> </ul>
<p><b>მონაწილეობის ბარიერების დამსხვრევა და ახალი თემების დაინტერესება ქალთა და გოგონათა ფეხბურთით</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ მიზნობრივი კამპანიის - „თუ ჩვენ ერთად თამაში შეგვიძლია, ერთად ცხოვრებაც შეგვიძლია“ დაწყება</li> <li>○ აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, პროექტის - „სახალისო ფეხბურთი - ღია სკოლა“ მეშვეობით სოფლად და კონფლიქტის ზონებში მცხოვრები გოგონების ჩართვა ფეხბურთში</li> <li>○ ჩართულობის უწყვეტი მხარდაჭერის უზრუნველყოფა (მაგ. ვარჯიშებისა და მატჩების დაზღვევა)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ წელიწადში მინიმუმ 90 „ღია სკოლის“ შექმნა და სულ მცირე 1550 გოგონასთვის პირველი საფეხბურთო გამოცდილების უზრუნველყოფა</li> <li>○ სამიზნე თემებში „ღია სკოლების“ 200-მდე ლიდერისთვის განათლებისა და ტრენინგის უზრუნველყოფა</li> </ul>
<p><b>გოგონათა ფეხბურთისთვის სტრუქტურირებული მარშრუტის ჩამოყალიბება, რომელიც დაწყებითი სკოლებიდან We Play Strong-ის გარემომდე გზას მოიცავს</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ ყველა სკოლაში 1-ელიდან მე-12 კლასამდე გოგონებისთვის კომპლექსური საფეხბურთო პროგრამის შემუშავება, რომელიც პროექტ We Play Strong-ის გარშემო იქნება აწყობილი</li> <li>○ ვაჟთა და გოგონათა შერეული გუნდების ორგანიზება მე-3 კლასამდე მოსწავლეებისთვის</li> <li>○ ჩვენი სასკოლო პროგრამისა და პროექტ We Play Strong-ის ერთმანეთთან დაკავშირება, რაც ყველა გოგონას ფეხბურთში ხანგრძლივ ჩართულობაში დაეხმარება</li> <li>○ პროგრამის UEFA Playmakers გაცნობა 5-8 წლის გოგონებისთვის, რომლის ფარგლებშიც ისინი დისნეის მასალების მეშვეობით ჩაერთვებიან ფეხბურთში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ 2024 წლისთვის სულ მცირე 500 სკოლაში სტრუქტურირებული საფეხბურთო აქტივობების დაწესება</li> <li>○ 2024 წლისთვის შერეულ გუნდებში მონაწილეობა 30% უნდა იყვნენ გოგონები</li> <li>○ 2022 წლისთვის უნდა მოხდეს We Play Strong-ის კავშირების ჩამოყალიბება და პოპულარიზაცია</li> <li>○ 2022 წლისთვის პროგრამის UEFA Playmakers დაწესება 30 საგარეო ცენტრში, სადაც ყოველ 10 გოგონაზე 2 მწვრთნელი დასაქმებული</li> </ul>
<p><b>მონაწილეობის გაზრდაზე მიმართული პროგრამების გაძლიერება და გაფართოება, ქვეყნის მასშტაბით გოგონებისთვის პროდუქტიული და მდგრადი საფეხბურთო გარემოს შექმნა.</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ ჩართულობის გაზრდაზე მიმართულ ყველა პროგრამაში (მათ შორის, We Play Strong-ის არსებულ და სამომავლო პროექტებში) მონაწილეობის გაზრდა</li> <li>○ We Play Strong-ის ცენტრთა რაოდენობის გაზრდა, რათა ყველა თემისთვის ხელმისაწვდომი გახდეს გოგონათა მონაწილეობის შესაძლებლობა</li> <li>○ აქტივობათა სპექტრის გაფართოება, რაც 12-იდან 20 წლამდე გოგონებს მათი საფეხბურთო კარიერის განვითარებაში შეუწყობს ხელს</li> <li>○ რეგიონალურ პარტნიორებთან ერთად ჩართულობის პროგრამებში ადგილობრივი ინვესტიციების წახალისება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ 2024 წლისთვის ყველა პროგრამაში ჩართულ გოგონათა რაოდენობის გაზრდა 4000-მდე</li> <li>○ 2024 წლისთვის სულ მცირე 20 ლოკაციის შექმნა პროექტისთვის We Play Strong</li> <li>○ 2024 წლისთვის პროექტ We Play Strong-ის ყველა ლოკაციისთვის მყარი და მდგრადი სტრუქტურის შექმნა</li> </ul>



# ჯეოჯორი ახალგაზრდი ფეხბურთის განვითარება

შემდეგი ხუთი წლის მანძილზე, ჩვენს მიერ შექმნილ ბაზაზე გამორჩეულ ბევრ ნიჭიერი ფეხბურთელი, რომელიც მოინდომებს თავისი სრული პოტენციალის გამოვლენას. გაზრდილი მოლოდინების დაკმაყოფილება ჩვენთვის წარმოადგენს პოზიტიურ გამოწვევას.

**ჩვენ დაავინებინებთ ადამიანები, ახლა კი ჩვენ მათ უჩვენებთ უნდა შეათავაზოთ**

ჩვენი

## დაავინება

ჩვენ ჩამოვყალიბებთ შესაძლებლობების მართვით გზას, რომელიც ჩვენ ყველა ნიჭიერი ფეხბურთელის გამოვლენის, განსაზღვრისა და აღზრდის საშუალებას მოგვცემს

## გამოწვევა

ჩართულობის გაზრდასთან ერთად გაიზრდება ჩვენი ყველაზე ნიჭიერი მოთამაშეების მოთხოვნები და საჭიროებებიც. ამიტომ მნიშვნელოვანია, ჩვენი საფუძვლის გამყარებასთან ერთად ელიტური ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებაზეც გავამახვილოთ ყურადღება. ჩვენი ძალისხმევებით ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ შემდეგი:

- ჩვენი ქსელის მასშტაბით წარმატებული მუშაობის კულტურის დანერგვა და მხარდაჭერა.
- ნიჭიერი მოთამაშეების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა და მხარდაჭერა.
- ნიჭიერი მოთამაშეების განვითარების მართვით გზის ჩამოყალიბება.
- შესაბამის ეტაპებზე განვითარების ელიტური შესაძლებლობების უზრუნველყოფა, რათა ჩვენი ნიჭიერი მოთამაშეები სწორი ტემპით





**მიზანი - ჩას გავაკეთებთ**

**ამოცანა - ჩოგონი გავაკეთებთ ავას**

**შესრულების ძირითადი ინდიკატორები - ჩოგონი გავგონავთ შედეგს**

<p><b>ყველა ნიჭიერი ქალი ფეხბურთელისთვის უზრუნველვყოფთ განვითარების შესაძლებლობათა თანაბარი ხელმისაწვდომობა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ ჩამოყვავილობით ფეხბურთელთა მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც გადაჭრის შემდეგ პრობლემებს:             <ul style="list-style-type: none"> <li>• ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა</li> <li>• აღჭურვილობისა და ვარჯიშების ხელმისაწვდომობა</li> </ul> </li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ 2022 წლისთვის დაგნერგოთ სფფ-ის მოთამაშეთა მხარდაჭერის პროგრამა</li> </ul>
<p><b>უზრუნველვყოფთ, რომ ნებისმიერ ნიჭიერ მოთამაშეს გააჩნდეს განვითარების მკაფიო და ხელმისაწვდომი გზა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ უზრუნველვყოფთ, რომ We Play Strong-ის ყველა ლოკაციას გააჩნდეს 12-წლამდე და 15-წლამდე გოგონათა გუნდები</li> <li>○ ყველა ქალს და გოგონას გავუმარტივოთ პროგრამა We Play Strong-იდან ელიტურ კლუბებში გადასვლის პროცესი</li> <li>○ შემოვიღოთ საკლუბო ლიცენზირება, რათა ყველა ელიტურ კლუბს გააჩნდეს ქალთა და გოგონათა ფეხბურთის განვითარების ეფექტური სტრუქტურა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ 2022 წლისთვის პროგრამა We Play Strong-ის ყველა ლოკაციას უნდა გააჩნდეს ორი ასაკის ჯგუფის გუნდები</li> <li>○ 2022 წლისთვის პროგრამა We Play Strong-ის ლოკაციების 50 პროცენტს უნდა ჰყავდეს ელიტური პარტნიორი კლუბი (კაცების კლუბის სექცია ან ქალთა კლუბი)</li> <li>○ 2023 წლისთვის უნდა იყოს შემოღებული სავალდებულო ლიცენზირება</li> </ul>
<p><b>ქალთა და გოგონათა ფეხბურთში შევქმნათ პროგრესული და მზარდი კონკურენცია</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ WPS-ის ლიგის გაფართოება - მატჩების სიხშირის გაზრდა; 12-წლამდე და 15-წლამდე გუნდების ხარისხის გაუმჯობესება             <ul style="list-style-type: none"> <li>• ქალთა და გოგონათა ელიტური ჩემპიონატის სტრუქტურის შემდეგნაირად გარდაქმნა:</li> <li>• უმაღლესი ლიგა, სადაც სტრატეგიის მოქმედების პერიოდში ეტაპობრივად დაინერგება შემლუდვები 16-წლამდე მოთამაშეებზე</li> </ul> </li> <li>○ მეორე ლიგა 16-20 წწ. ასაკის მოთამაშეებისთვის, სადაც სტრატეგიის მოქმედების პერიოდში ეტაპობრივად დაინერგება შემლუდვები 21 წელზე უფროსი ასაკის მოთამაშეებზე</li> <li>○ 15-წლამდე, 17-წლამდე და 19-წლამდე გოგონათა გუნდებისთვის ახალი ფორმატის რეგიონალური შეჯიბრის ჩამოყვავილება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ 2022 წლისთვის გავუმჯობესებთ WPS-ის ლიგას</li> <li>○ 2022 წლისთვის ელიტურ ლიგას გავყოფთ ორ დივიზიონად:             <ul style="list-style-type: none"> <li>• 2021 წლიდან უმაღლესი ლიგის თითოეულ კლუბში დაიშვება 16 წლამდე ასაკის არაუმეტეს 8 ფეხბურთელისა (გადაიხედება შემდეგი სემონის წინ)</li> <li>• 2021 წლიდან მეორე ლიგის თითოეულ კლუბში დაიშვება 21 წელზე უფროსი ასაკის არაუმეტეს 10 ფეხბურთელისა (გადაიხედება შემდეგი სემონის წინ)</li> </ul> </li> <li>○ 2022 წლისთვის ახალი ფორმატის რეგიონალური შეჯიბრის საპილოტე ვერსიის დანერგვა და 2023 წლისთვის მისი ფორმალიზება</li> </ul>
<p><b>უზრუნველვყოფთ ყველა ნიჭიერი ქალისა და გოგონას იდენტიფიცირება და მათი განვითარების ხელშეწყობა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ ნიჭიერი მოთამაშეების გამოვლენის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა</li> <li>○ სკაუტინგის ეროვნულ სისტემაში თანმიმდევრულობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის დანერგვა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ 2021 წლისთვის კვლევის დასრულება</li> <li>○ 2022 წლისთვის ქალთა ფეხბურთში სკაუტინგის ეროვნული სისტემის დანერგვა</li> <li>○ 2023 წლისთვის ქალთა ფეხბურთში ნიჭიერ მოთამაშეთა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა</li> </ul>
<p><b>ახალგაზრდა გოგონებისთვის უზრუნველვყოფთ სანაკრებო დონეზე განვითარების შესაძლებლობები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ 15-წლამდე გოგონათა ეროვნული ნაკრების ჩამოყვავილება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ 2023 წლისთვის 15-წლამდე გოგონათა ეროვნული ნაკრების ჩამოყვავილება</li> </ul>



# ინფრასტრუქტურა

ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ინფრასტრუქტურა ათწლეულების მანძილზე ქმნიდა გარემოს კაცების ფეხბურთის განვითარებისათვის, ახლა კი ის უნდა მოერგოს ქალთა ფეხბურთის მზარდ მოთხოვნებს. მოქნილობასა და თანამშრომლობასთან ერთად, ჩვენს საფეხბურთო გარემოს ესაჭიროება ქალ მოთამაშეთა სხვადასხვა საჭიროებებზე მორგება.

## ქაღახისთვის კანის ბაღების შემდეგ ჩვენ მათთვის უნდა უზრუნველყოთ გულბილი მიღება

# ჩვენი

### ბამონჯვა

ჩვენი საფეხბურთო გარემო ძირითადად მორგებულია კაცების საჭიროებებსა და მოლოდინებზე. ჩვენი სტადიონების მფლობელებმა უნდა იფიქრონ, თუ როგორ მოახდინონ ობიექტების ადაპტაცია, რათა ისინი ქალებისთვისაც გახდეს ხელმისაწვდომი და მიმზიდველი. ჩვენი მუშაობით ჩვენ უნდა უზრუნველყოთ შემდეგი:

- ობიექტებით სარგებლობის დრო დაეთმოს ქალთა ფეხბურთის მზარდ მოთხოვნებს, და ყველა ქალსა და გოგონას გააჩნდეს ობიექტებზე წვდომა.
- ობიექტები მოერგოს ქალებისა და გოგონების კონკრეტულ მოთხოვნებს.
- ამენდეს ახალი / გარემონტდეს არსებული ობიექტები, რათა დაკმაყოფილდეს მზარდი ჩართულობის შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნები.





<p>სოფლად ადგილობრივ თემებში ფეხბურთის მიმართ ენთუზიაზმის გაღვივება და შესაძლებლობების შექმნა</p>	<ul style="list-style-type: none"><li>პროექტის - Village Arena გაფართოება და საზოგადოებრივი მოედნების გარემონტებით ადგილობრივი თემების მხარდაჭერა</li><li>ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობით ობიექტების მოვლა-პატრონობის მდგრადი პროგრამის შემუშავება</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>წელიწადში ორიდან ხუთამდე თემის მხარდაჭერა მათი მოედნის გარემონტებით</li></ul>
<p>ყველა რეგიონში ქალებისა და გოგონებისთვის ხარისხიან და კარგად მოვლილ სათამაშო ობიექტებზე რეგულარული წვდომის უზრუნველყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"><li>ქალთა ფეხბურთის კონკრეტული ინფრასტრუქტურული მოთხოვნების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება</li><li>რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით სათამაშო ობიექტების მორგება ქალთა ფეხბურთის საჭიროებებზე და მუდმივი მოვლა-პატრონობა</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>2022 წლისთვის რეგიონებისთვის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება</li><li>პარტნიორებთან უწყვეტი თანამშრომლობა</li></ul>
<p>ყველა რეგიონში ქალებისა და გოგონებისთვის ხარისხიან და კარგად მოვლილ სავარჯიშო ობიექტებზე რეგულარული წვდომის უზრუნველყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"><li>ყველა რეგიონში ქალთა და გოგონათა აკადემიის ჩამოყალიბებისთვის არსებული ინფრასტრუქტურის იდენტიფიცირება, დემიგირება და საჭიროების შემთხვევაში გაუმჯობესება</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>2024 წლისთვის ყველა რეგიონული აკადემიის ჩამოყალიბება</li></ul>
<p>ახალი ელიტური სავარჯიშო ობიექტების აშენება</p>	<ul style="list-style-type: none"><li>იმერეთში ახალი აკადემიის და სტადიონის აშენება</li><li>შიდა ქართლში ახალი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ტექნიკური დავალების მომზადება</li><li>ტექნიკური დავალების მომზადება პროექტისთვის, რომლის მიხედვითაც თბილისში ერთ-ერთი მოქმედი საფეხბურთო ცენტრი გარდაიქმნება საქართველოში ქალთა ფეხბურთის ჰაბად</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>2023 წლისთვის იმერეთში სტადიონის დასრულება</li><li>2023 წლისთვის შიდა ქართლში ახალი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ტექნიკური დავალების მომზადება</li><li>2022 წლისთვის ტექნიკური დავალების მომზადება პროექტისთვის, რომლის მიხედვითაც თბილისში ერთ-ერთი მოქმედი საფეხბურთო ცენტრი გარდაიქმნება საქართველოში ქალთა ფეხბურთის ჰაბად საფეხბურთო ცენტრი გარდაიქმნება საქართველოში ქალთა ფეხბურთის ჰაბად</li></ul>

# სამუშაო ქაღის განვითარება

ფეხბურთის განვითარება ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც მას ხელს უწყობენ ძლიერი მწვრთნელები, მსაჯები და მოხალისეები. სამუშაო ძალის განვითარება ჩვენი სამომავლო საქმიანობის ცენტრში მოექცევა. სტანდარტების მუდმივ გაუმჯობესებასთან ერთად, ჩვენ ხელს შევუწყობთ ქალი მწვრთნელებისა და მსაჯების განვითარებას.

**ჩვენ მხანი უნდა დაუპირიპოთ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენს საფეხბურთო თემებს ამოქრავებენ.**

# ჩვენი

## დაინიება

ჩვენ საინტერესოს გავხდით ფეხბურთში მუშაობას და მხარდაჭერას გავუწევთ ფეხბურთის განვითარებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს.

## გამონწვევა

ფეხბურთში ჩართულ ბევრ ქალსა და გოგონას სურს ქალ სპეციალისტებთან მუშაობა და მათგან მხარდაჭერის მიღება. გოგონები, რომლებიც თავის სათამაშო კარიერას ასრულებენ, ასევე ეძებენ ფეხბურთში საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობებს. ჩვენი მუშაობით ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ შემდეგი:

- ჩვენი ქალთა და გოგონათა ფეხბურთის სასკოლო პროგრამის განხორციელებით ხელი შევუწყობთ მასწავლებლებს.
- ქალთა ფეხბურთში ჩართულ კაცებს ხელი შევუწყობთ ქალთა საჭიროებებზე მორგებული უნარ-ჩვევების განვითარებაში.
- ქალებისა და გოგონებისთვის შევქმნათ შესაძლებლობები სამწვრთნელო, სამსაჯო და სამოხალისეო მიმართულებებით.
- ქალი მწვრთნელების, მსაჯებისა და მოხალისეების რაოდენობის გაზრდა და სტანდარტების გაუმჯობესება.
- ქალთა ფეხბურთში დავენერგოთ მენტორინგის მაღალი ხარისხი.
- ფედერაციაში გავაუმჯობესოთ გენდერული ბალანსი.







**მიზანი - ჩას გავაკეთებთ**

**ამოხანა - ჩოგონი გავაკეთებთ ავას**

**შინაწილის ძირითადი ინიციატივები - ჩოგონი გავგროვებთ შედეგს**

<p><b>დანყებით და საშუალო სკოლებში გოგონათა ფეხბურთის სწავლების გაუმჯობესება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ დანყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლებისთვის საფეხბურთო ლიდერობის ელექტრონული სასწავლო კურსების შემუშავება</li> <li>○ სკოლის პროგრამებისა და პროექტის We Play Strong ფარგლებში სფფ-ის მწვრთნელთა თანამშრომლობა მასწავლებლებთან</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ დანყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლებისთვის 2022 წლისთვის ელექტრონული სასწავლო პროგრამის დანერგვა</li> <li>○ მასწავლებლებისთვის უწყვეტი პრაქტიკული სამუშაო გამოცდილების მიღების შესაძლებლობათა სტრუქტურირება</li> </ul>
<p><b>WPS-ის ლოკაციებში კვალიფიციური და მდგრადი სამწვრთნელო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ WPS-ის ყველა ლოკაციაში მწვრთნელების აუდიტის ჩატარება და ქალ მწვრთნელთა ხარისხსა და რაოდენობაში ხარვეზების გამოვლენა</li> <li>○ ქალი მწვრთნელებისთვის ყოვლისმომცველი უფასო საგანმანათლებლო პროგრამისა და ტრენინგის უზრუნველყოფა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ წლიური აუდიტის განხორციელება და მის საფუძველზე მწვრთნელთა განვითარების გეგმის შემუშავება</li> <li>○ 2024 წლისთვის WPS-ის ყველა ლოკაციაში მწვრთნელთა შესაბამისი გუნდის ყოლა</li> </ul>
<p><b>ჩვენი წამყვანი პროფესიონალი ფეხბურთელებისთვის ამბიციური კარიერული შესაძლებლობების უზრუნველყოფა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ ეროვნული ნაკრების ყველა წევრის ამბიციების გამოვლენა მწვრთნელობასთან, მსაჯობასთან, ადმინისტრაციულ საქმიანობასა თუ პროფესიულ საფეხბურთო განვითარებასთან დაკავშირებით</li> <li>○ ჩვენი წამყვანი მოთამაშეებისთვის ფეხბურთის სფეროში ინდივიდუალური კარიერული განვითარების ხელშეწყობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ ნაკრების ფეხბურთელებისთვის სათამაშო კარიერის შემდგომი კარიერული დაგეგმვის პროცესში უწყვეტი მხარდაჭერის გაწევა</li> </ul>
<p><b>ქალ მწვრთნელთა, მსაჯთა და ადმინისტრატორთა რაოდენობისა და ხარისხის გაზრდა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ ქალ მწვრთნელთა რაოდენობისა და ხარისხის სისტემატიური გაუმჯობესება</li> <li>○ ქალ მსაჯთა რაოდენობის სისტემატიური გაზრდა</li> <li>○ სფფ-ში, ასევე სფფ-ის აღმასკომსა და სხვა კომიტეტებში გენდერული ბალანსის გაუმჯობესება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ 2024 წლისთვის ქალ მწვრთნელთა შემდეგი რაოდენობის განვითარება: 1 პრო-ლიცენზიით 3 B ლიცენზიით 3 A ლიცენზიით 13 C ლიცენზიით</li> <li>○ 2024 წლისთვის ქალი მსაჯების რაოდენობის 50 პროცენტით გაზრდა</li> <li>○ სფფ-ის კადრებში ქალებსა და კაცებს შორის თანაფარდობის გაუმჯობესება</li> </ul>
<p><b>ყველა ქალი მწვრთნელისთვის ქვეყნის მასშტაბით ფეხბურთში ჩართული პირებისა და ორგანიზაციების მხარდაჭერის უზრუნველყოფა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ ქალი მწვრთნელებისთვის მენტორინგის სტრუქტურირებული პროგრამის შემუშავება და ქალთა ფეხბურთში პირისპირ სწავლებისა და განვითარების ქსელის დანერგვა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ 2021 წელს მენტორინგის ახალი სტრუქტურის საპილოტე დონეზე განხორციელება და 2024 წლისთვის მისი სრული დანერგვა</li> <li>○ 2022 წლისთვის ქალთა ფეხბურთში პირისპირ სწავლების ქსელის დანერგვა</li> </ul>
<p><b>ელიტურ საკლუბო სტრუქტურაში ქალთა ჩართულობის გაზრდა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ ელიტურ საკლუბო სტრუქტურაში ქალთა მონაწილეობის გაზრდა</li> <li>○ სამსაჯო როლებში შერეული გენდერული წარმომადგენლობის წახალისება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ ელიტურ კლუბებში ქალთა გუნდების სულ მცირე 25 პროცენტს უნდა გააჩნდეს ქალი მწვრთნელი</li> <li>○ ყველა ელიტური კლუბის სტრუქტურაში ქალები უნდა წარმომადგენდნენ სამუშაო ძალის სულ მცირე 25 პროცენტს</li> </ul>
<p><b>საკლუბო ლიცენზირების ახალი პროგრამის მეშვეობით ყველა დონეზე ბავშვთა დაცვის გაუმჯობესება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ სფფ-ის ბავშვთა დაცვის პოლიტიკის დანერგვა; კლუბებსა და აკადემიებში სფფ-ის პოლიტიკის გადაღება ან საკუთარი პოლიტიკის შემუშავების წახალისება</li> <li>○ სფფ-ის ბავშვთა დაცვის ოფიცერის დანიშვნა ქალთა და გოგონათა ფეხბურთში</li> <li>○ ინფორმატორებისთვის ინფორმაციის მიწოდების არხის დანერგვა</li> <li>○ მწვრთნელთა და მოხალისეთა კადრების აყვანის სისტემაში ბავშვთა დაცვის ნორმების დანერგვა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ 2024 წლისთვის ყველა კლუბს და აკადემიას უნდა გააჩნდეს ბავშვთა დაცვის პოლიტიკა</li> <li>○ 2022 წლისთვის სფფ-ის ბავშვთა დაცვის ოფიცერის დანიშვნა ქალთა და გოგონათა ფეხბურთში</li> <li>○ 2024 წლისთვის ინფორმატორებისთვის ეფექტური არხის დანერგვა და პოპულარიზაცია</li> <li>○ 2022 წლისთვის ბავშვთა დაცვის ნორმების დანერგვა მწვრთნელთა და მოხალისეთა კადრების აყვანის ყველა პროცესში</li> </ul>

# ედიტორი კლუბი და ეროვნული ნაკრები

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამ სტრატეგიის განხორციელების პერიოდში შეიძლება სრულად ვერ დავინახოთ ჩვენი ძალისხმევების შედეგები, ჩვენთვის მართლაც მნიშვნელოვანია ყველა ჩვენი მოთამაშისთვის ამბიციური მიზნების შემუშავება. ჩვენ გვსურს, რომ საქართველოში ყველა გოგონა ოცნებობდეს ეროვნულ ნაკრებში თამაშზე, და რომ ჩვენი ქვეყანა ამაყობდეს ეროვნული გუნდის თამაშით. ჩვენ გვსურს, რომ ფეხბურთის ყველა გულშემატკივარი მხარს უჭერდეს ქალთა კლუბებს ისეთივე ენთუზიაზმით, როგორც კაცების გუნდებს, და ინტერესით ელოდებოდეს ქალთა ნაკრების მატჩებს.

## ჩვენ ვიოხნებათ წარმატებაზე და შევქმნით ეროვნული სიამაყის შემჩნევას

ჩვენი

### ბამონჯევა

მოთამაშეებს და გულშემატკივრებს ყოველთვის ენდომებათ წარმატების სწრაფად მიღწევა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სავარაუდოდ შეუძლებელი იქნება სტრატეგიის საწყის ეტაპებზე, ჩვენ შეგვიძლია ხალხს დავანახოთ გაუმჯობესებისკენ ჩვენი მისწრაფება. ჩვენ გვსურს, რომ ქვეყანამ იამაყოს ჩვენი წინსვლით და წარმატებისკენ მისწრაფებით. ჩვენი მუშაობით ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ შემდეგი:

- ქალთა ფეხბურთის განვითარებაში მხარდაჭერა გავუწიოთ ჩვენს ელიტურ კლუბებს.
- კლუბებში დავწეროთ ქალთა ფეხბურთის გრძელვადიანი და პასუხისმგებლიანი განვითარების მართვის სტანდარტები.
- ქალთა ეროვნული ნაკრების განვითარების პროცესში დავწეროთ მაღალ დონეზე მუშაობის კულტურა.
- ქალთა ეროვნული გუნდებისთვის შევქმნათ საერთაშორისო მატჩების ჩატარების და შედარებითი ანალიზის (ბენჩმარკინგის) შესაძლებლობები.





**მოზანი - ჩანს გავაკეთებთ**

**აპოზანა - ჩოგორ გავაკეთებთ ავას**

**შენიღების ძინითაჲი ინდიკაჲორიჲი - ჩოგორ გავაკეთებთ შიღებს**

<p><b>საკლუბო ფეხბურთში ქალებისა და გოგონებისთვის შესაძლებლობათა რაოდენობის და ხარისხის გაუმჯობესება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>ელიტური ქალთა კლუბების რაოდენობის გაზრდა</li> <li>ქალთა ლიგის სტრუქტურის განვითარებით სტანდარტების გაუმჯობესება</li> <li>ახალგაზრდული გუნდების ჩამოყალიბებით კლუბების ხარისხის გაუმჯობესება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>2024 წლისთვის ქალთა კლუბების რაოდენობის 14-იდან 20-მდე გაზრდა</li> <li>2022 წლისთვის არსებული ერთიანი ლიგის მაგივრად პირველი და მეორე ლიგის ჩამოყალიბება</li> <li>ყველა კლუბში სულ მცირე ერთი ქალთა გუნდის ჩამოყალიბების წახალისება</li> <li>ყველა ქალთა კლუბში რამდენიმე ასაკობრივი გუნდის (U15, U17, U19) ჩამოყალიბების წახალისება</li> </ul>
<p><b>ჩვენი ელიტური კლუბებისთვის მეტი კონკურენციის შექმნა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>უეფა-ს ძალიანხმევეების მხარდაჭერა ეროვნულ ლიგებში ხარისხის ამაღლების მიმართულებით</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>უეფა-სთან უწყვეტი თანამშრომლობა ჩვენი ქალთა ლიგის სტრუქტურული განვითარების მიმართულებით</li> </ul>
<p><b>ჩვენი ეროვნული ნაკრების სიღრმის გაზრდა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>ჩვენი ეროვნული ნაკრების სტრუქტურაში ელიტური დონის ქალ ფეხბურთელთა რაოდენობის გაზრდა</li> <li>საერთაშორისო სკაუტინგის პროგრამის გაუმჯობესება, რათა უზრუნველყოფილი იქნას საზღვარგარეთ ელიტურ დონეზე მოთამაშე ყველა ქალი ფეხბურთელი ჩართული იყოს ეროვნულ ნაკრებში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>2024 წლისთვის ჩვენი ეროვნული ნაკრების სტრუქტურაში ელიტური დონის ქალ ფეხბურთელთა რაოდენობის 30-იდან 70-მდე გაზრდა</li> <li>2022 წლისთვის საერთაშორისო სკაუტინგის და ნიჭიერ ფეხბურთელთა მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება</li> </ul>
<p><b>ჩვენი ნაკრების ფეხბურთელთა კონკურენტული გამოცდილების გაუმჯობესება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>სტრატეგიის მოქმედების პერიოდში ქალთა ერთ-ერთი საერთაშორისო ჩემპიონატის ორგანიზებაზე განაცხადის შეტანა</li> <li>უეფა-სა და ეროვნულ ასოციაციებთან თანამშრომლობით კონკურენტული ამხანაგური შეხვედრების პროგრამის შედგენა როგორც ქალთა „ა“ ნაკრებისთვის, ისე ახალგაზრდული ეროვნული გუნდებისთვის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>2024 წლისთვის ქალთა ერთ-ერთი საერთაშორისო ჩემპიონატის ორგანიზებაზე განაცხადის შეტანა</li> <li>ყველა ეროვნული გუნდისთვის კონკურენტული ამხანაგური მატჩების გაფართოებული პროგრამის უზრუნველყოფა</li> </ul>
<p><b>ნაკრების პოტენციალის რეალიზაცია</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>ქალთა ეროვნული ნაკრების პროფილისა და შედეგების გაუმჯობესება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>2024 წლისთვის მსოფლიო რეიტინგში საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრების პოზიციის გაუმჯობესება (პირველ ასეულში მოხვედრა)</li> </ul>
<p><b>ელიტური დონის ქალი ფეხბურთელებისთვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მათ შეეძლებათ ფეხბურთის, როგორც პროფესიის არჩევა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>ჩვენ წამყვან კლუბებთან თანამშრომლობით ჩვენი ელიტური დონის ქალი ფეხბურთელებისთვის კარიერული და სახელფასო შესაძლებლობების გაუმჯობესება</li> <li>ჩვენ კლუბებთან თანამშრომლობით ქალებისთვის ანაზღაურებადი სამწვრთნელო და ადმინისტრაციული როლების ჩამოყალიბება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>2024 წლისთვის ელიტური დონის ქალი ფეხბურთელებისთვის მკაფიოდ განსაზღვრული კარიერული გზის შექმნა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილსაც 15-წლამდე ეროვნული ნაკრების ჩამოყალიბება წარმოადგენს</li> </ul>



# შემოსავლები

ქალთა ფეხბურთის გლობალურმა და მეტეორულმა ზრდამ ის მეტად სასურველ და კომერციულად მიმზიდველ აქტივად აქცია. ჩვენი სტრატეგიის შემუშავებით ჩვენ შევუერთდებით ამ პროცესს და ვისარგებლებთ ქალთა ფეხბურთის პოპულარობის ტალღით. ჩვენ ყურადღებს მივაქცევთ პროცესის ყველა ასპექტს და შევქმნით შესაძლებლობებს ჩვენი ფეხბურთელებისთვის, კლუბებისა და ეროვნული გუნდებისთვის.

**ჩვენ უზრუნველყოფთ, რომ ქალთა ფეხბურთი ინვესტიციების რაღაცა იოლი გადაწყვეტილება გახდეს.**

# ჩვენი

## დაინიერება

აქართველოს მასშტაბით ჩვენს პარტნიორებთან თანამშრომლობით ჩვენ უზრუნველვყოფთ მდგრად ინვესტიციებს ქალთა და გოგონათა ფეხბურთში

## გამონახვა

ბევრ პარტნიორს ჯერ კიდევ არ გაუცნობიერებია ქალთა ფეხბურთის კომერციული და სოციალური პოტენციალი. მათთან ეფექტური კომუნიკაციით ჩვენ უზრუნველვყოფთ ამ მიდგომების შეცვლას. ჩვენი მუშაობით ჩვენ უნდა უზრუნველვყოფთ შემდეგი:

- მოსახლეობას დავანახოთ ქალთა და გოგონათა ფეხბურთის ფართო სოციალური ეფექტი.
- ჩამოვაყალიბოთ ახალი პარტნიორული ურთიერთობები კომერციულ ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ ქალთა და გოგონათა საკითხებზე.
- ჩვენს საზოგადოებაში შევქმნათ მისაბაძი მაგალითები. ქალთა და გოგონათა ფეხბურთის, როგორც ბიზნესის პოტენციალის წარმოჩენა.
- ჩვენი სტრატეგიული საქმიანობის ყველა ასპექტისთვის საკმარისი ფინანსური რესურსების გენერირება.





<p><b>ქალთა კლუბების მდგრადობის ხელშეწყობა</b></p>	<ul style="list-style-type: none"><li>○ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით ქალთა კლუბების განვითარებასა და მდგრადობაში ინვესტიციების წახალისება</li><li>○ ალთა კლუბებისთვის ბიზნეს-განვითარების მიმართულებით კონსულტაციის განევა</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>○ ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო პარტნიორებთან უწყვეტი თანამშრომლობით კლუბებისთვის ჩვენი სტრატეგიული საქმიანობის ყველა მიმართულების დანერგვაში ხელის შეწყობა</li></ul>
<p><b>ქალთა ფეხბურთის, როგორც მიმზიდველი კომერციული წინადადების ჩამოყალიბება</b></p>	<ul style="list-style-type: none"><li>○ პროგრამა UEFA Grow-სთან თანამშრომლობით ქალთა ლიგისა და თასისთვის ახალი ბრენდის შექმნა</li><li>○ ქალთა ლიგისთვის პრინციპული სპონსორების მოძიება</li><li>○ UEFA SROI-ის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ქალთა და გოგონათა ფეხბურთის სოციალური უპირატესობების წარმოჩენა და We Play Strong-ის ლოკაციებისთვის პარტნიორების მოძიება</li><li>○ ქალთა ეროვნული გუნდისა და რეგიონალური აკადემიებისთვის კომერციული ინვენტარის შექმნა</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>○ 2021 წლისთვის ქალთა ლიგისა და თასის ახალი ბრენდის შექმნა და გამოყენება</li><li>○ 2022 წლისთვის ქალთა ლიგისთვის კომერციული პარტნიორის მოძიება</li><li>○ 2022 წლიდან მუდმივი საზოგადოებრივი პარტნიორების ჩამოყალიბება</li><li>○ 2022 წლიდან ქალთა ეროვნული გუნდისა და რეგიონალური აკადემიებისთვის პარტნიორების მუდმივი მოძიება</li></ul>
<p><b>ქალთა ფეხბურთის მიმართ ინტერესი გარდაისახოს ენთუზიამსა და ჩართულობაში</b></p>	<ul style="list-style-type: none"><li>○ GFF TV-ის მეშვეობით ქალთა ფეხბურთის პოპულარიზაცია</li><li>○ სფფ-ში ქალთა ერთეულის ჩამოყალიბება და ქალთა ფეხბურთში კომუნიკაციისთვის მეტი რესურსის გამოყოფა</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>○ 2021 წლის ივნისიდან GFF TV-ზე ქალთა ეროვნული ნაკრებისა და ელიტური კლუბების მატჩების პირდაპირ ეთერში ჩვენება (ონლაინ-სტრიმი), 2024 წლისთვის კი კვირაში 1 მატჩის ჩვენება</li><li>○ 2022 წლისთვის სფფ-ში ქალთა განყოფილების ჩამოყალიბება და საკომუნიკაციო პროდუქტის შემუშავება</li></ul>
<p><b>ქალთა ფეხბურთის უნიკალური უპირატესობების გარშემო განვითარების გაგრძელება</b></p>	<ul style="list-style-type: none"><li>○ გულშემატკივრებისთვის ქალთა ფეხბურთთან დაკავშირებული ახალი გამოცდილების შექმნა, რომელიც ფოკუსირებული იქნება საოჯახო აქტივობებსა და სულისკვეთებაზე</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>○ 2021/22 წწ. პერიოდში ქალთა ფეხბურთის მატჩებზე გულშემატკივრებისთვის ახალი გამოცდილების საპილოტე ვერსიის შეთავაზება, შემდგომ კი საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით გულშემატკივართა ჩართულობის გაზრდა</li></ul>

# სახელმძღვანელო პრინციპები

სტრატეგიის განხორციელების პერიოდში ყველა საყრდენისთვის თანმიმდევრულობისა და ხარისხის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად, ჩვენი ძალისხმევების სტრუქტურირება მოხდება სამი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპის მიხედვით.

**კომუნიკაცია** – თანმიმდევრულობა და სიცხადე განაპირობებს სტრატეგიის განხორციელების პერიოდში ეფექტურ კომუნიკაციას. ამ პრინციპზე დაყრდნობით ჩვენ მოვახდენთ ჩვენი შიდა სტრუქტურების განვითარებას და დაინტერესებული მხარეებისთვის სახელმძღვანელო გეგმების შემუშავებას.

**ანგარიშვალდებულება** – ფეხბურთის ყველა სფეროში ჩვენ მკაფიოდ განსაზღვრავთ იმ როლებს და პასუხისმგებლობებს, რომლებიც აუცილებელია ჩვენს მიერ დასახული ამბიციური მიზნების მისაღწევად. ამ პრინციპზე დაყრდნობით ჩვენ ვითანამშრომლებთ როგორც სხვადასხვა ჯგუფებთან, ისე ცალკე პირებთან, რამეთუ ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს საქართველოს მასშტაბით ქალთა ფეხბურთის ზრდაში.

**ეფექტი** - ჩვენი საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენი სტრატეგიის ისტორიის გადმოცემის პროცესში. ჩვენს მიერ დასახული ძირითადი მაჩვენებლები ასრულებენ საგზაო რუკის ფუნქციას, რომლის მიხედვითაც ჩვენ მივალწვეთ ჩვენთვის სასურველ ეფექტს. ჩვენი საქმიანობა მეტად იქნება დაყრდნობილი აღნიშნულ ეფექტზე, რაც ჩვენ საშუალებას მოგვცემს, გავზარდოთ ჩვენი გადანყვეტილებების ეფექტურობა და ეფექტიანობა. ამ პრინციპზე დაყრდნობით ჩვენ ვითანამშრომლებთ ყველა დაინტერესებულ მხარესთან, რათა ჩამოვაყალიბოთ ჩვენი ისტორიის გადმოცემისთვის საჭირო მონაცემები და მოსაზრებები.

,

დღეიდან 2024 წლამდე პერიოდისთვის ჩვენ დასახული გვაქვს ამბიციური გეგმები, რომლებსაც ჩვენ მართო ვერ შევასრულებთ. მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა დაინტერესებულ მხარეს გააჩნია მნიშვნელოვანი როლი წინამდებარე სტრატეგიაში მოყვანილი მიზნების შესრულებაში. ჩვენ მოხარული ვიქნებით, ამ ორგანიზაციებსა და ინდივიდუალურ პირებთან ერთად გავიაროთ ეს სტრატეგიული გზა და მათთან ვითანამშრომლოთ როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე. წინასწარ მადლობას ვუხდით ყველას, ვისაც სურს მხარი დაუჭიროს საქართველოში ქალთა ფეხბურთისთვის უკეთესი მომავლის შექმნას.





## საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

ჭავჭავაძის გამზ. 76ა  
0179 თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 91 26 70 ფაქსი: +995 322 91 59 95

[gff@gff.ge](mailto:gff@gff.ge)